

გამოცდის პარამეტრები	პარაქის დასახელება														
	ნაღების კარაქი "ახალი პროდუქტი" (შ.პ.ს "ახალი პროდუქტი", თბილისი მექანიზაციის ჩიხი №1)			ნაღების კარაქი "ეკო-ფული" (შ.პ.ს "ეკო-ფული", თბილისი ზელაზნის 4 ^ა)			უ/ხარისხის ნაღების კარაქი "რუსთავი" (ინდ. მეწარმე "რ.გ").			უ/ხარისხის "კარაქი ევროპული" (შ.პ.ს "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები", თბილისი კახეთის გზატკეცილი მე-10კმ)			I ხარისხის ძროხის კარაქი "ამალთეა", (ს.ს "ამალთეა" შ.პ.ს "დიდუბის რძე", თბილისი, ხოშარაულის 25.)		
1. პროდუქციის ნიშანდება (ეტიკეტი)	გააჩნია			გააჩნია			გააჩნია არასრული ქართულენოვანი ეტიკეტი			გააჩნია			გააჩნია		
2 პროდუქციის გამოშვების თარიღი, ვარზის-ანობის ვადა	შეესაბამება			შეესაბამება			გაურკვეველია			შეესაბამება			არ არის მითითებული		
3 ორბანოლუბიანი მარკინგები	შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება			არ შეესაბამება		
4 ფიზიკო-ქიმიური მარკინგები	ნორმ. ღოკ.	ფაქტ	შედეგი	ნორმ. ღოკ.	ფაქტ	შედეგი	ნორმ. ღოკ.	ფაქტ	შედეგი	ნორმ. ღოკ.	ფაქტ	შედეგი	ნორმ. ღოკ.	ფაქტ	შედეგი
- ცხიმის მასური წილი % არანეკლებ	82,5	82,5	შეეს	82,5	62,1	არ შეეს	82,5	48,0	არ შეეს	82,5	71,1	არ შეეს	82,5	57,6	არ შეეს
- ტენიანობა მასური წილი %-ში, არაუმეტეს	16,0	15,5	შეეს	16,0	36,7	არ შეეს	16,0	51,0	არ შეეს	16,0	26,9	არ შეეს	16,0	41,4	არ შეეს
- მჟავიანობა °K (კეტტსტოფერის), არაუმეტეს	2,5	1,6	შეეს	2,5	2,0	შეეს	2,5	2,2	შეეს	2,5	1,6	შეეს	2,5	9,0	არ შეეს
5 უსაფრთხოების მარკინგები	ფაქტ		შედეგი	ფაქტ		შედეგი	ფაქტ		შედეგი	ფაქტ		შედეგი	ფაქტ		შედეგი
- მეზ. აერ. ფაქულტ. ნაერ, არაუმეტეს 1*10 ⁵	1,3*10 ⁵		არ შეესაბამება	0,2*10 ⁵		შეესაბამება	0,8*10 ⁵		შეესაბამება	0,6*10 ⁵		შეესაბამება	1,6*10 ⁵		არ შეესაბამება
- ტოქსიკური ელემენტები	შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება		
6 ენერგეტიკული ღირებულება (კკალ/100გრ)	ნორმ. ღოკ.	ეტიკეტი ზე	ფაქტ	ნორმ. ღოკ.	ეტიკეტი ზე	ფაქტ	ნორმ. ღოკ.	ეტიკეტი ზე	ფაქტ	ნორმ. ღოკ.	ეტიკეტი ზე	ფაქტ	ნორმ. ღოკ.	ეტიკეტი ზე	ფაქტ
	364-769	748	741,6	364-769	566	558,9	364-769	-	432	364-769	661	639,9	364-769	659,7	518,4
7 პროდუქციის წონა, გრ	ეტიკეტი ზე	ფაქტ	სხვა-ობა	ეტიკეტი ზე	ფაქტ	სხვა-ობა	ეტიკეტი ზე	ფაქტ	სხვა-ობა	ეტიკეტი ზე	ფაქტ	სხვა-ობა	ეტიკეტი ზე	ფაქტ	სხვა-ობა
	200,0	199,0	-1,0	200,0	183,0	-17,0	200,0	183,0	- 17,0	200,0	188,5	- 11,5	190,0	169,3	- 20,7

ბამოცდის პარამეტრები	კარქის დასახელება										ნაღების კარაქი "ვალიო" (ფინეთი ს.ს "ვალიო")				
	უ/ხარისხის ნაღების კარაქი "ელისევსკოე", (ფინეთი ს.ს "ვალიო")			ნაღების კარაქი "Midnight Sun" (ფინეთი ს.ს "ვალიო")			ექსტრა ნაღების კარაქი "პრეზიდენტი", (საფრანგეთი)			"დაჩა" ქოლესტერინის გარეშე (პოლონეთი)					
1. პროდუქციის ნიშანდობა (ეტიკეტი)	არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი			არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი			არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი			ავღნიშნავთ, რომ ჩვენს მიერ შეძენილი ვითომდა კარაქი "დაჩა" ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა მარგარინი.			არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი		
2 პროდუქციის ბამოცდის ტარილი, ვარზის-ანობის ვადა	შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება			მართლაც, დაკვირვებული ძიების შედეგად აღმოვაჩინეთ მის ეტიკეტზე რუსულენოვანი წარწერა "Деликатесный маргарин" (დელიკატური მარგარინი), ამის შესახებ ქართულენოვან ეტიკეტზე საუბარი არ არის, რაც თავისთავად მომხმარებლისთვის არასწორი და არასრული ინფორმაციის მიწოდებაა. მომხმარებელი მას იძენს როგორც კარაქს და სინამდვილეში თურმე მარგარინს მიირთმევს. ჩვენთან შემოვიდა რამოდენიმე ხარი მომხმარებლებიდან, რომლებმაც გვთხოვეს გაგვესინჯა კარაქი "დაჩა", ეი ისინი თვლიან რომ ეს კარაქია.			შეესაბამება		
3 ორბანოლექტიკური მარგარინები	შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება					
4 ფიზიკო-ქიმიური მარგარინები	ნორმ. ღოკ.	ვაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ.	ვაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ.	ვაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ.	ვაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ.	ვაჰტ	შედეგი
- ცხიმის მასური წილი % არანეღებ	82,5	82,2	არ შეეს	82,5	82,6	შეეს	82,5	81,3	არ შეეს	82,5	82,43	შეეს	82,5	82,43	შეეს
- ტენიანობა მასური წილი %-ში, არაუმეტეს	16,0	15,7	შეეს	16,0	14,8	შეეს	16,0	15,4	შეეს	16,0	15,17	შეეს	16,0	15,17	შეეს
- მუავიანობა °K, (კეტტსტოფერის) არაუმეტეს	2,5	2,0	შეეს	2,5	2,2	შეეს	2,5	2,0	შეეს	2,5	2,2	შეეს	2,5	2,2	შეეს
5 უსაფრთხოების მარგარინები:	ვაჰტ		შედეგი	ვაჰტ		შედეგი	ვაჰტ		შედეგი	ვაჰტ		შედეგი	ვაჰტ		შედეგი
-მეხ. აერ. ფაქ. ანაერ. არაუმეტეს 1*10 ⁵	1,1*10 ⁵		არ შეესაბამება	0,3*10 ⁵		შეესაბამება	0,8*10 ⁵		შეესაბამება	0,4*10 ⁵		შეესაბამება	0,4*10 ⁵		შეესაბამება
- ტოქსიკური ელემენტები	შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება		
6 ენერგეტიკული ღირებულება (კკალ/100გრ)	ნორმ. ღოკ.	ეტიკეტი ზე	ვაჰტ	ნორმ. ღოკ.	ეტიკეტი ზე	ვაჰტ	ნორმ. ღოკ.	ეტიკეტი ზე	ვაჰტ	ნორმ. ღოკ.	ეტიკეტი ზე	ვაჰტ	ნორმ. ღოკ.	ეტიკეტი ზე	ვაჰტ
	364-769	740	739,8	364-769	740	743,4	364-769	738	731,7	364-769	740	741,8	364-769	740	741,8
7 პროდუქციის წონა (გრ)	ეტიკეტი ზე	ვაჰტ	სხვა-ობა	ეტიკეტი ზე	ვაჰტ	სხვა-ობა	ეტიკეტი ზე	ვაჰტ	სხვა-ობა	ეტიკეტი ზე	ვაჰტ	სხვა-ობა	ეტიკეტი ზე	ვაჰტ	სხვა-ობა
	200,0	202,0	+2,0	200,0	204,0	+4,0	200,0	201,5	+1,5	200,0	200,0	+3,0	200,0	200,0	+3,0

ცხრილის ახსნა:

1. პროდუქციის ნიშანდგება (ეტიკეტი)

ოთხ ადგილობრივ წარმოების კარაქს გააჩნია სრული ქართულენოვანი ეტიკეტი (ნაღების კარაქი “ახალი პროდუქტი”, ნაღების კარაქი “ეკო-ფუდი”, უ/ხარისხის “კარაქი ევროპული”, I ხარისხის ძროხის კარაქი “ამალთეას” ეტიკეტით), ხოლო ნაღების კარაქ “რუსთავს” არ გააჩნია სრული ქართულენოვანი ეტიკეტი, კერძოდ: არ არის მითითებული მწარმოებლის მისამართი და ენერგეტიკული ღირებულება.

ქართულენოვანი ეტიკეტი არც ერთ იმპორტულ ნაღების კარაქს (“ელისევსკოე”, “Midnight Sun”, “პრეზიდენტი” და “ვალიო”) არ გააჩნდა.

2. პროდუქციის გამომშვების თარიღი, ვარგისიანობის ვადა

ყველა იმპორტირებულ ნაღების კარაქს გააჩნდათ გამომშვების თარიღი და ვარგისიანობის ვადები, რომლებიც ემთხვევა რეალიზაციის ვადებს.

ადგილობრივი წარმოების სამი დასახელების კარაქზე (ნაღების კარაქი “ახალი პროდუქტი”, ნაღების კარაქი “ეკო-ფუდი” და უ/ხარისხის “კარაქი ევროპული”) მითითებულია გამომშვების თარიღი და ვარგისიანობის ვადები, რომლებიც ემთხვევა რეალიზაციის ვადებს.

რაც შეეხება ნაღების კარაქ “რუსთავს” მასზე გამომშვების თარიღი გაურკვეველია (აწერია “5 05”) და შესაბამისად კარაქის ვარგისიანობის ვადის დადგენა შეუძლებელია, ხოლო ძროხის კარაქზე “ამალთეას” ეტიკეტით მომხმარებლისთვის ესოდენ აუცილებელი ინფორმაცია – გამომშვების თარიღი, საერთოდ უგულვებელყოფილია.

3. ორგანოლექტიკური მაჩვენებლები

ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებში შემოწმდა კარაქის გემო, სუნი, კონსისტენცია, გარეგანი სახე და ფერი. რვა კარაქმა დადებითად გაიარა ეს შემოწმება და შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს. უარყოფითად შეფასდა ძროხის კარაქი “ამალთეას” ეტიკეტით, რაც გამიხატება შემდეგში: გემო – სუსტად გამოხატული ნაღების გემოთი, კონსისტენცია – არაერთგვაროვანი, ნაწილობრივ პლასტიკური.

4. ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები

ფიზიკო-ქიმიურ მაჩვენებლებში განისაზღვრა ცხიმისა და ტენიანობის მასური წილი და მჟავიანობა.

ცხიმის მასური წილი: ამ მაჩვენებელით დადებითად შეფასდა მხოლოდ სამი დასახელების კარაქი: ნაღების კარაქი “Midnight Sun”, ნაღების კარაქი “ვალიო” და ნაღების კარაქი “ახალი პროდუქტი”.

ნაღების კარაქ “ელისევსკოეში” და “პრეზიდენტში” ცხიმის მასური წილი ნაკლებია ნორმით დასაშვებზე სულ რაღაც 0,3 % და 1,2 %-ით. გაცილებით უარესი შედეგები დაფიქსირდა ადგილობრივი წარმოების 4 დასახელების კარაქში:

ნაღების კარაქ “ეკო-ფუდში” ცხიმის მასური წილი ნაკლებია დასაშვებ ნორმაზე 20,4%-ით, ნაღების კარაქ “რუსთავში” ნაკლებია ნორმაზე 34,5%-ით, კარაქი „ევროპულში“ ნაკლებია 11,4%-ით, ხოლო ძროხის კარაქში “ამალთეას” ეტიკეტით ნაკლებია 24,9%-ით.

ტენიანობის მასური წილი: ტენიანობის მაჩვენებელი მიუთითებს კარაქში წყლის შემცველობას, ნორმატიული დოკუმენტით ის არ უნდა აღემატებოდეს 16,0 %-ს. ამ მაჩვენებელში დადებითი შეფასება მიიღო ოთხივე იმპორტულმა და ერთმა ადგილობრივი წარმოების ნაღების კარაქმა “ახალი პროდუქტი”. რაც შეეხება დანარჩენ კარაქებს: ნაღების კარაქ “ეკო-ფუდში” ტენიანობის მასური წილი აღემატება ნორმას 20,7 %-ით, ნაღების კარაქ “რუსთავში” – 35 %-ით, კარაქ

ევროპულში – 10,9%-ით და ძროხის კარაქში “ამალთეას” ეტიკეტით – 25,4%-ით. როგორც ზემოთგანხილული შედეგები გვიჩვენებს ქართული წარმოების კარაქებში წყლის შემცველობა საკმაოდ დიდია, როგორც ჩანს მწარმოებლისათვის კარაქში წყლის რაოდენობის გადიდება და შესაბამისად ცხიმის მასური წილის შემცირება, მომგებიანია. ამ მაჩვენებელში “ლიდერია” ნაღების კარაქი “რუსთავი”, შემდეგ ადგილს იკავებს ძროხის კარაქი “ამალთეას” ეტიკეტით, მას მოყვება ნაღების კარაქი “ეკო-ფუდი” და “კარაქი ევროპული”.

მუავიანობა: ამ მაჩვენებელში რვა კარაქმა დადებითი შეფასება მიიღო. ერთადერთ გამონაკლის წარმოადგენს ძროხის კარაქი “ამალთეას” ეტიკეტით, რომელშიც მუავიანობის რიცხვი ნორმაზე 6,5-ით მეტია.

5. უსაფრთხოების მაჩვენებლები

უსაფრთხოების მაჩვენებლებში განსაზღვრულ იქნა პროდუქციის ტოქსიკური ელემენტები და მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები. ტოქსიკური ელემენტების მხრივ ცხრავე კარაქმა დადებითი შეფასება მიიღო. რაც შეეხება მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებს, აქ გამონაკლისებია უცხოური წარმოების კარაქი “ელისევსკოე” და ადგილობრივი წარმოების ნაღების კარაქი “ახალი პროდუქტი” (რომელმაც სხვათაშორის აქამდე ყველა მაჩვენებელში დადებითი შეფასება მიიღო) და ძროხის კარაქი “ამალთეას” ეტიკეტით. ეს უკანასკნელი ამ მაჩვენებელშიც “ლიდერობს”, მასში მიკრობების რაოდენობა დასაშვებ ნორმას საგრძნობლად აღემატება.

6. ენერგეტიკული ღირებულება (კკალ/100გრ)

ენერგეტიკული ღირებულების მხრივ აღსანიშნავია ნაღების კარაქი “რუსთავი”, რომელზეც არ არის მითითებული ეს მაჩვენებელი. ცხრავე დასახელების კარაქის ენერგეტიკული ღირებულება ჯდება ნორმატიული დოკუმენტით მითითებულ ზღვრებში. თუმცა, განსხვავებებია ეტიკეტზე მითითებულ და ფაქტიურად დაფიქსირებულ ენერგეტიკულ ღირებულებას შორის, რაც თავისთავად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანაა.

7. პროდუქციის წონა

ავღნიშნავთ, რომ ნორმატიული დოკუმენტით დაიშვება წონის გადახრა ± 6 გრ.

წონის მაჩვენებელში უცხოური წარმოების კარაქებმა და ადგილობრივი წარმოების ორმა კარაქმა (ნაღების კარაქი “ახალი პროდუქტი” და “ეკო-ფუდი”) დადებითი შეფასება მიიღეს.

რაც შეეხება ნაღების კარაქ “რუსთავს”, მისი წონა ეტიკეტთან შედარებით ნაკლებია 17 გრ-ით, “კარაქ ევროპულში” – 11,5 გრ-ით და კვლავ “ლიდერად” წარმოგვიდგება ძროხის კარაქი “ამალთეას” ეტიკეტით, რომელშიც წონა ნაკლებია 20,7 გრ-ით.

დასკვნა:

შექნილი 10 დასახელების კარაქიდან ერთი – “ღაჩა”, აღმოჩნდა მარგარინი, რომელიც დადასტურდა ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად. მის ეტიკეტზე აღმოჩნდა რუსულენოვანი წარწერა “Деликатесный маргарин” (დელიკატური მარგარინი), ამის შესახებ ქართულენოვან ეტიკეტზე ინფორმაცია არ არის, რაც თავისთავად მომხმარებლისთვის არასწორი და არასრული ინფორმაციის მიწოდებაა.

გამოკვლეულ იქნა 9 დასახელების კარაქი (4 იმპორტული და 5 ადგილობრივი წარმოების). სამწუხაროდ დადებითი შეფასება მიიღო მხოლოდ 2 დასახელების კარაქმა: ფინური წარმოების ნაღების კარაქებმა “**ვალეო**” და “**Midnight Sun**”.

უარყოფითად შეფასდა ძროხის კარაქი “**ამალთეას**” ეტიკეტით, რომელიც ფაქტიურად ყველა მაჩვენებელში „ჩაიჭრა“, გარდა ტოქსიკური ელემენტების შემცველობისა. “საპატიო” მეორე ადგილზე გავიდა უცხოური წარმოების კარაქი “**ელისევსკოე**”.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენი შემოწმების შედეგები ვრცელდება მხოლოდ შექნილი ნიმუშების პარტიებზე.

